სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 05 ოქტომბერი, 2023
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (ელექტრონული ფოსტის გამოყენებით)

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ია გაბედავა, რაისა ლიპარტელიანი, როინ მიგრიაული, ზვიად კორძაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ნორიკო თავბერიძის, მარიამ ლიპარტელიანის, ნანა ჭეიშვილის, ეკატერინე პაიკიძის, ნინო გელაშვილის, გიგა გიორგაძის, ნინო ლომთათიძის, სოფიკო კიკნაძის, ნათია ფუტკარაძის, თამუნა მუსხელიშვილის, სალომე ლორთქიფანიძის და თამარ ტერაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნორიკო თავბერიძის, მარიამ ლიპარტელიანის, ნანა ჭეიშვილის, ეკატერინე პაიკიძის, ნინო გელაშვილის, გიგა გიორგაძის, ნინო ლომთათიძის, სოფიკო კიკნაძის, ნათია ფუტკარაძის, თამუნა მუსხელიშვილის, სალომე ლორთქიფანიძის და თამარ ტერაშვილის განცხადებებს მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ირაკლი გვილიას, ბესიკ სილიკაშვილის, ივანე ჩოგოვაძის და ლაშა ცხადაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, (მომხრე 6: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ია გაბედავა, რაისა ლიპარტელიანი, როინ მიგრიაული, წინააღმდეგი 1: ზვიად კორძაძე) მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირაკლი გვილიას, ბესიკ სილიკაშვილის, ივანე ჩოგოვაძის და ლაშა ცხადაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე